საქართველოს ფოლკლორის 2015-2016 წლების

ეროვნული ფესტივალის

დებულება

ფესტივალის მიზანი

საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის მიზანია ქართული, ასევე საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნოსის, ფოლკლორის დარგებისა და ჟანრების ნიმუშთა მოძიება-დაფიქსირება და დღეს არსებული ცოცხალი ფოლკლორული ყოფის რეალური სურათის წარმოჩენა; მეოცე საუკუნის ფოლკლორული მემკვიდრეობის დაფიქსირება და ოცდამეერთე საუკუნის ფოლკლორის სიცოცხლისუნარიანობისათვის შესაბამისი პირობებისა და გარემოს შექმნა; საქართველოს თითოეულ კუთხეში, ქალაქში, სოფელში, ქართული ხალხური შემოქმედების აღორძინება.

ფესტივალის ორგანიზატორები

1. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
2. საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი

ფესტივალის ვადები, მომზადება და მიმდინარეობა

საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი იწყება 2015 წლის ივნისში და მთავრდება 2016 წლის ბოლოს. ფესტივალი გაიხსნება საზეიმოდ და დაიხურება გალა კონცერტით.

ფესტივალის მზადებისა და მიმდინარეობისათვის, რეგიონებში შექმნილი საკოორდინაციო ჯგუფები უზრუნველყოფენ მონაწილეთა წინასწარ რეგისტრაციას, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ შედგენილი და მოწოდებული სპეციალური ანკეტების შევსებას, ფესტივალის საინფორმაციო ბაზის შექმნასა და ინფორმაციის გაცემას.

ფესტივალი ტარდება ორ ტურად - რეგიონული და დასკვნითი.

რეგიონული ტური შეიძლება დაიყოს რამდენიმე ეტაპად ან გაერთიანდეს.

რეგიონული ტური

კახეთი - 2015 წლის ივნისი

1. თელავი (სიღნაღი, საგარეჯო, დედოფლისწყარო, გურჯაანი, ყვარელი, თელავი, ახმეტა, ლაგოდეხი)

სამეგრელო - ზემო სვანეთი - 2015 წლის ივნისი

1. ზუგდიდი (ზუგდიდი, მესტია, სენაკი, ხობი, ფოთი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, მარტვილი, აბაშა)

რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი - 2015 წლის ივნისი

1. ამბროლაური (ამბროლაური, ონი, ცაგერი, ლენტეხი)

სამცხე - ჯავახეთი - 2015 წლის ივლისი

1. ბორჯომი (ახალციხე, ბორჯომი, ნინოწმინდა, ახალქალაქი, ასპინძა, ადიგენი)

მცხეთა-მთიანეთი - 2015 წლის ივლისი

1. დუშეთი (დუშეთი, მცხეთა, თიანეთი, ყაზბეგი)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა - 2015 წლის სექტემბერი

1. ბათუმი (ბათუმი, ქობულეთი, ქედა, შუახევი, ხელვაჩაური, ხულო)

გურია - 2015 წლის სექტემბერი

1. ოზურგეთი (ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური)

იმერეთი - 2015 წლის ოქტომბერი

1. ქუთაისი (სამტრედია, ბაღდათი, წყალტუბო, ვანი, ხონი)
2. ზესტაფონი (საჩხერე, ჭიათურა, ზესტაფონი, თერჯოლა, ქუთაისი, ტყიბული, ხარაგაული)

შიდა ქართლი - 2015 წლის ოქტომბერი

1. გორი (გორი, კასპი, ხაშური, ქარელი)

ქვემო ქართლი - 2015 წლის ოქტომბერი

1. რუსთავი (რუსთავი, ბოლნისი, დმანისი, მარნეული, გარდაბანი, თეთრიწყარო)

თბილისი - 2015 წლის ნოემბერი

შენიშვნა: აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებული პირები, ფესტივალის რეგიონულ ტურებში მონაწილეობას მიიღებენ განსახლების ადგილის მიხედვით.

დასკვნითი ტური

დასკვნითი ტურები ჩატარდება 2016 წელს - ქ. ქუთაისში, ქ. ბათუმსა და ქ. თბილისში.

რეგიონული და დასკნითი ტურების ჩატარების ადგილისა და დროის შესახებ საკოორდინაციო ჯგუფებს ეცნობებათ ორი თვით ადრე.

ფესტივალის მონაწილენი

- ავთენტური ფოლკლორული ჯგუფები
- ხალხური სიმღერის ანსამბლები
- ხალხურ საკრავთა ანსამბლები
- საოჯახო ანსამბლები
- ქორეოგრაფიული ანსამბლები
- სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები
- მუნიციპალური ანსამბლები
- ქართული ტრადიციული გალობის გუნდები
- ინდივიდუალური შემსრულებლები
- სახალხო მთქმელები და ავტორმთქმელები
- ხალხურ საკრავთა ოსტატები
- ხალხური რეწვის ოსტატები
- სახვითი ხელოვნების ოსტატები

ფესტივალის თითოეული მონაწილე ადგილობრივი ტურისათვის ავსებს შესაბამის ანკეტას და აბარებს საკოორდინაციო ჯგუფს (როგორც ინდივიდუალურს, ასევე ჯგუფურს). მონაწილენი უანკეტოდ ფესტივალზე არ დაიშვებიან

ფესტივალში მონაწილეობის მინიმალური ასაკია 18 წელი. გამონაკლისი დასაშვებია საოჯახო ანსამბლებსა და ხალხურ რეწვაში.

ფესტივალის კრიტერიუმები

"საქართველოს ეროვნული ფესტივალის (2015-2016)" მონაწილე პირებს და შემოქმედებით კოლექტივებს მოეთხოვებათ იმ კრიტერიუმების და მოთხოვნების ზედმიწევნით დაცვა, რომლებიც წარმოდგენილია ცენტრის მიერ შემუშავებულ სარეკომენდაციო წერილში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ისეთ კრიტერიუმებს, როგორიცაა: ფოლკლორის სიწმინდის დაცვა, თავიანთი კუთხის ტრადიციების მოძიება და გაცოცხლება, ხალხური საშემსრულებლო მანერის შენარჩუნება, ცეკვაში ტრადიციული საკრავების გამოყენება და ჰანგის სწორად შერჩევა. სინკრეტულობის დაცვა - სასურველია სიმღერის, ლექსის, ცეკვის საკრავის მხატვრულ-შინაარსობრივი ერთობლიობის წარმოჩენა - შენარჩუნება. ადგილობრივ (რეგიონულ) ტურზე სავალდებულოა ორი ნომრის შესრულება.

ეროვნულ ფესტივალზე, სასურველია, წარმოჩნდეს ზეპირსიტყვიერების ყველა დარგი: პოეზია, ზღაპარი, მითი, თქმულება, ლეგენდა, თამაშობანი, შელოცვები, წყევლის, დალოცვისა და დატირების ნიმუშები... ავტორმთქმელთა ლექსები (ორ-ორი ნიმუში).

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატები მონაწილეობენ რეგიონული ტურის გამოფენებში. ფესტივალზე, შესაძლებელია, წარმოდგენილი იყოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ყველა დარგი: ფერწერა, ქანდაკება; გრაფიკა; მეთუნეობა; ლითონის დამუშავება (საიუველირო ნაწარმი, ჭედურობა, იარაღი, ქამარ-ხანჯალი, ცხენის აღკაზმულობა), ხის, ქვის, ძვლის, ტყავის (ავეჯი, საოჯახო და დეკორატიული ნივთები) მხატვრული დამუშავება; წნული, ქსოვა-ქარგულობა და ლურჯი სუფრები, ნაქარგობანი, საგებელ-საფარებლები, ჯეჯიმი, ჭილოფი, თექა, ნაბადი, ეროვნული ტანსაცმელი, თავსაბურავი, წინდები, ჩითები, ქალამნები), თოჯინები, ორიგინალური ჟანრი, (თანამედროვე გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები არაორდინარული მასალით: ნიჟარები, ბუმბული, აბლაბუდა, მცენარის თესლები, ხის ქერქი, თევზის ფხა და სხვა). რეგიონულ ტურზე გამოიფინება საორგანიზაციო ჯგუფის მიერ წინასწარ შერჩეული ექსპონატები.

ფესტივალის ჟიური

ფესტივალის რეგიონულ ტურში ჟიური დაკომპლექტდება ფოლკლორის დარგების მიხედვით. მისი შემადგენლობა შეიძლება შეიცვალოს რეგიონებში ჩასატარებელი ტურების მიხედვით. დასკვნით ტურებში ფესტივალის ჟიურიში შევა ფოლკლორის ყველა დარგის სპეციალისტი და მისი შემადგენლობა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში - რაიმე ობიექტური გარემოებით.

ფესტივალის რეგიონული ტურის ჟიური შედგება არანაკლებ სამ და არაუმეტეს ხუთ წევრისგან. დასკვნითი ტურის ჟიური - არანაკლებ ხუთ და არაუმეტეს ცხრა წევრისგან. ფესტივალის ორივე ტურის ჟიურის შემადგენლობას ამტკიცებს ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით. ჟიური გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით, ხმათა გაყოფის შემთხვევაში - ჟიურის თავმჯდომარე.

ყველა ტურის კონცერტი, გამოფენა, ხალხური პოეზიის საღამო დაფიქსირდება ვიდეო, ფოტო და აუდიოფირებზე, რის საფუძველზეც ჟიური თბილისში განიხილავს რეგიონული და დასკვნითი ტურის შედეგებს. თითოეული

ინდივიდისა თუ ჯგუფისათვის ჟიური მოამზადებს შენიშვნებისა და რეკომენდაციების ინდივიდუალურ პაკეტს, რომელსაც მონაწილეები ფესტივალის დასრულების შემდეგ მიიღებენ და შემოქმედებით საქმიანობაში გამოიყენებენ.

აღმასრულებელი დირექტორი

02.04.2015 _____